ჩემპიონატი

http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/result.cgi?f=v1938&cl=8
დაამატა **ერლან მანაშევმა**

"დინამო" (თბილისი) - "ლოკომოტივი" (მოსკოვი) - 2:0 (0:0)
12 მაისი. თბილისი. სტადიონი "დინამო". 30 000 მაყურებელი.
მსაჯი კ. ტერეხოვი (მოსკოვი).
გოლები: 1-0 ბერძენიშვილი (3, პენალტი), 2-0 ბერეჟნოი (62).

"დინამო" (თბილისი): დოროხოვი, შავგულიძე, ჭუმბურიძე, ჯორბენაძე, ფროლოვი, გოგუა, გავაშელი (ჯეჯელავა), ბერძენიშვილი, ლოლაძე, ბერეჟნოი, სომოვი.

"ლოკომოტივი": გრანატკინი, ანდრეევი, გვოზდკოვი, ნოვიკოვი, ჟუკოვი, სტრელკოვი, სერდიუკოვი, ილინი, მიხეევი, კოლპაკოვი, ჩუკლიაევი.

თბილისელ ოსტატთა პირველი გამარჯვება

გუშინ ლ. პ. ბერიას სახ. სტადიონზე 30 ათასზე მეტი მაყურებელი დაესწრო თბილისის "დინამოს" და მოსკოვის "ლოკომოტივის" ოსტატთა გუნდების კალენდარულ მატჩს, სსრ კავშირის 1938 წლის პირველობაზე.

ორივე გუნდი საბრძოლო შემადგენლობით გამოვიდა მოედანზე. თამაში პირველ წუთებიდანვე თბილისელთა მძლავრი შეტევებით დაიწყო. მე-5 წუთზე სტუმრები დაჯარიმდნენ 11 მეტრიანი თავისუფალი დარტყმით. პენალტების ოსტატი მ. ბერძენიშვილი ხსნის ანგარიშს.

მოულოდნელ მარცხს მოსკოველებმა კონტრიერიშებით უპასუხეს. თამაშის ინიციატივა სტუმრების მხარეზეა, მაგრამ თბილისელთა თავდაცვა იშვიათი ოსტატობით და წინდახედულად თამაშობს.

მეორე ტაიმში მარჯვენა გარემარბი გ. ჯეჯელავა, რომელმაც ფეხის დაზიანების გამო შესცვალა გავაშელი, კარიდან 4 მეტრში მეტად სახიფათო ბურთს აწვდის თბილისელ ბერეჟნოის. მეორედ ირხევა სტუმრების კარზე გადაცმული ბადე.

მოსკოველებმა მრავალი კრიტიკული მომენტი შექმნეს თბილისელთა საჯარიმო მოედანზე, მაგრამ უშედეგოდ. დოროხოვი მუდამ ადგილზე უხვდებოდა სახიფათო ბურთებს. ამ დღეს განსაკუთრებით კარგი იყო თბილისელი ფროლოვი.

მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით – 2:0.

პენალტი.
"მუშა", 13 მაისი, 1938 წ.